სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია

2025 წელი, I-II-III-IV კვარტალი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 08	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					**197 852.9**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- განხორციელდა ქ. რუსთავში გარე ტერიტორიის და საგამოცდო მანქანებისათვის საჭირო სადგომის გადახურვის მოწყობის სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. საჩხერეში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- განხორციელდა ქ. ბათუმში ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოები;
- ქ. თელავში მომსახურების სააგენტოს ტერიტორიაზე განხორციელდა ცენტრალური წყლის შეყვანა/დაერთება;
- მიმდინარეობს ქ. ზუგდიდში არსებული ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტი;
- ქ. ახალქალაქში განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის რემონტი და საგამოცდო მოედნის ასფალტის განახლება;
- შესყიდულ იქნა 3 ერთეული C კატეგორიის საგამოცდო სატვირთო ავტომანქანა;
- შესყიდულ იქნა 60 ერთეული B კატეგორიის საგამოცდო ავტომანქანები;
- სააგენტოს თანამშრომლებისათვის შესყიდულ იქნა ზამთრის უნიფორმა;

- მოტოციკლის მართვის მოწმობის გამოცდისათვის შესყიდულ იქნა შესაბამისი ჩაფხუტები და მუხლის და იდაყვის დამცავი საშუალებები;
- შესყიდულ იქნა 40 ერთეული პრინტერი;
- საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის სერვისის მიწოდების მიზნით იჯარით აღებულ იქნა ახალი ფართი. აღნიშნული ფართისთვის შეძენილ იქნა ახალი ავეჯი;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 4 ერთეული სერვერი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული საგამოცდო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების განახლება;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მართვის მოწმობის მისაღები ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საგამოცდო ნაწილები;
- შესყიდულ იქნა თვითმომსახურების ტერმინალისთვის 2 ერთეული სენსორული მონიტორი და 2 ერთეული მონიტორის განსათავსებელი მოწყობილობა (სადგამი);
- დასრულდა საქართველოს მასშტაბით სააგენტოს შენობების და გარე ტერიტორიების კამერებით აღჭურვის სამუშაოები;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის ავტომანქანების შეძენა;
- თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ს და სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს;
- მომზადდა „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლითაც ცვლილებები შედის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებულ „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის ნორმატიულ შინაარსში, კერძოდ: დაემატა "მიკრობანკი", „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებით ხორციელდება აღნიშნული ნორმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- მომზადდა „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლითაც ქ. ფოთში და ქ. ბათუმში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპს დაემატა ორი ახალი მარშრუტი;
- მართვის მოწმობის ურთიერთაღიარების ხელშეკრულების პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს იტალიასთან, დიდ ბრიტანეთთან და ანდორასთან;
- მიღებულ იქნა „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში

ცვლილებები, რომლის თანახმად, შეიზღუდება საპატიო კონსულების სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „მ“-„ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეგისტრაციის ნომრების (სახელმწიფო სანომრე ნიშნები) გაცემა. კერძოდ, საპატიო კონსულის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე იქნება შესაძლებელი ზემოაღნიშნული რეგისტრაციის ნომრის გაცემა. ამასთან პროექტი ითვალისწინებს საპატიო კონსულების სახელზე რეგისტრირებულ ორზე მეტ სატრანსპორტო საშუალებაზე უკვე გაცემული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „მ“-„ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რეგისტრაციის ნომრების (სახელმწიფო სანომრე ნიშნები) უკან დაბრუნების და ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების შემთხვევაში მომსახურების საფასურისგან გათავისუფლების წესს;

- „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - სასიგნალო იარაღის რეგისტრაციასთან და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესისა და დამატებითი პირობების დადგენის შესახებ“ 2005 წლის 21 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №162 დადგენილების; „სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანების, „იარაღის ბალისტიკური შემოწმებისა და ექსპერიმენტული გასროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 1 აგვისტოს №54 ბრძანების, „იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371ბრძანების პროექტები;
- მიღებულ იქნა „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან ცალკეულ შემთხვევებში დროებით გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლითაც გადავადდა ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური შტამპის გამოყენება - 1 წლით;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებები ამოქმედდა 2026 წლის 1 იანვრიდან, რომლითაც:
    - ტრანზიტული ნომრის გაცემის საფასური გახდა – 370 ლარი, ხოლო ამის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა - 20 ლარი;
    - ტრანზიტული ნომრის გაცემა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი, ექსპორტის პროცედურისთვის ან რეექსპორტისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე გახდა 150 ლარი;
    - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი, ექსპორტის პროცედურისთვის ან რეექსპორტისთვის განკუთვნილი ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე

ტექნიკური საშუალების საექსპერტო შემოწმება შესაბამისი აქტის შედგენით გახდა – 180 ლარი;

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი, ექსპორტის პროცედურისთვის ან რეექსპორტისთვის განკუთვნილი ერთი ერთეული სატრანსპორტო საშუალების ან ერთი ერთეული სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიის ფარგლების გარეთ საექსპერტო შემოწმება შესაბამისი აქტის შედგენით გახდა – 200 ლარი;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ ექსპორტის პროცედურისთვის ან რეექსპორტისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის ან აღრიცხვის მოწმობის შევსება ან/და საბაჟო პროცედურის ან რეექსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიწოდება ან/და შესაბამის მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვა გახდა – 200 ლარი;

- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად: ერთმანეთისაგან ვიზუალურად გაიმიჯნა ტრანზიტული ნომრის ნიმუში და შიდა ტრანზიტის ნომრის ნიმუში. ტრანზიტული ნომრის ნიმუშზე გასდევს წითელი ზოლი ე.ი. იმავე ნიმუშის ფორმა ძალაში რჩება, ხოლო შიდა ტრანზიტის ნომრის ნიმუშზე გასდევს ლურჯი ზოლი. 2026 წლის 1 მარტამდე გაცემულ და იურიდიული ძალის მქონე ძველი ნიმუშის შიდა ტრანზიტს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მისი მოქმედების ვადით;
- „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ორგანოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) და სამეწარმეო იურიდიული პირზე, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ორგანო, სარგებლობის უფლებით გადაცემული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად: დამატებულ იქნა ქ. საჩხერეში, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საგამოცდო მარშრუტები.

2025 წელს სააგენტოს ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ძირითადი განახლებები:

- ✓ სააგენტოს მთავარ სასერვერო ინფრასტრუქტურაში პერიმეტრის ბრანდმაუერების განახლება;
- ✓ სააგენტოს მთავარ სასერვერო ინფრასტრუქტურაში სერვერული ბრანდმაუერების განახლება;
- ✓ სასერვერო ინფრასტრუქტურის სრულად გადართვა ACI (Application Centric Infrastructure) ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნული პროექტის დასრულება;
- ✓ ცხელი ხაზისა და სატელეფონო ინფრასტრუქტურის განახლება;

- ✓ სააგენტოს რეგიონალურ ერთეულებში (საჩხერე, ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი და ზუგდიდი) ფიზიკური ქსელის პროექტირება და ქსელის განახლებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

II. სერვერული ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები

გასული წლის განმავლობაში მომსახურების სააგენტოს სასერვერო ინფრასტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის (HCI) სისტემატური განახლება წვდომადობის, მდგრადობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით;
- ✓ მონაცემთა სარეზერვო ასლების შესანახი ინფრასტრუქტურის სრულად განახლება, როგორც ფიზიკურ, ასევე ვირტუალურ გარემოში; დამატებით დაინერგა საგანგებო აღდგენის (Disaster Recovery) ლოკაცია;
- ✓ სააგენტოს მიკროსერვისული არქიტექტურის მხარდამჭერი სერვერების განახლება;
- ✓ მოძველებული ოპერაციული სისტემების (Windows Server 2012 R2 და 2016) ეტაპობრივი განახლება Windows Server 2022 ვერსიამდე.

III. პროგრამული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სისტემების განახლება

ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ცენტრალიზებული მართვის გასაძლიერებლად 2025 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ Digital Guardian DLP (Data Loss Prevention) სისტემის განახლება;
- ✓ Cisco EDR (Endpoint Detection and Response) სისტემის განახლება;
- ✓ შიდა საკომუნიკაციო ჩატის სისტემის (Skype for Business) მიგრაცია უახლოეს მხარდაჭერად ვერსიაზე;
- ✓ მომსახურების სააგენტოს საფოსტო სერვერის (Microsoft Exchange) მიგრაცია უახლოეს მხარდაჭერად ვერსიაზე;
- ✓ Microsoft System Center Configuration Manager-ის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების უსაფრთხო და ცენტრალიზებულ დანერგვას, ასევე ტექნიკური სამსახურის მიერ თანამშრომლებისთვის დისტანციური მხარდაჭერის გაწევას;
- ✓ Dell Wyse Management Server-ის სრულყოფილი განახლება, რაც უზრუნველყოფს Dell-ის თხელი კლიენტების ცენტრალიზებულ კონფიგურაციასა და ეფექტიან მართვას.

საანგარიშო პერიოდში დისტანციური სერვისით ისარგებლა **376 338** -მა პირმა, მათ შორის:

- ✓ საინფორმაციო სამსახურმა უპასუხა 92 703 მომართვას;
- ✓ სატელეფონო კონსულტაციის სამსახურში პასუხი გაეცა 283 635 ზარს;

- ✓ საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 647 330 მოქალაქეს და 33 936 ორგანიზაციას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- რეაბილიტირებული და აშენებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა;
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა;
- განახლებული საგამოცდო ავტოპარკი;
- განახლებული სააგენტოს რეგიონალური დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეობებიდან 35%-მდე არის შესაძლებელი ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - *საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 647 330 მოქალაქეს და 33 936 ორგანიზაციას.*

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურა გასაახლებელია; ქ. ახალციხეში მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკა ხორციელდება რკინის ყუთში კევლარის დანადგარში, რაც ხშირად აზიანებს ტყვიებს; მომსახურების სააგენტო განთავსებულია ქ. ბათუმში, მაგრამ ვინაიდან გაზრდილია მოქალაქეთა ნაკადი და საკმარისი არ არის არსებული შენობა რათა შეუფერხებლად მოხდეს სერვისის მიწოდება, მიზანშეწონილია ქ. გონიოში სააგენტოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე აშენდეს ახალი შენობები და შესაბამისი საგამოცდო მოედნები; ქ. ამბროლაურში მომსახურების სააგენტო განთავსებულია ნაქირავებ პატარა ფართში, სადაც 2 კვირაში ერთხელ არასრულყოფილად ხდება მომსახურების გაწევა, ვინაიდან, საგრძნობლად გაზრდილია მოქალაქეთა მომართვიანობა მიზანშეწონილია აშენდეს ახალი შენობა და მოეწყოს საგამოცდო მოედანი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია. ქ. ახალციხეში მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკისთვის აშენებულია შენობა და მოწყობილია აუზი; ქ. გონიოში აშენებული ახალი შენობები და მოწყობილი საგამოცდო მოედნები; ქ. ამბროლაურში აშენებულია ახალი შენობა და მოწყობილია საგამოცდო მოედანი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ქ. რუსთავში მოეწყო საგამოცდო მანქანების სადგომის გადახურვა და გარე ტერიტორია; ქ. ბათუმში მოეწყო ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოები; ქ. ახალქალაქში გარემონტდა ადმინისტრაციული შენობა და განახლდა საგამოცდო მოედნის საფარი; ქ. ახალციხეში აშენდა ბალისტიკის შენობა და მოეწყო აუზი (შიდა რემონტი დასრულდება 2026 წელს); ხელშეკრულება გაფორმდა ქ. გონიოში შენობების აშენებისთვის და მოედნების მოწყობისთვის საჭირო პროექტის შესყიდვაზე (შეჩერებულია); ხელშეკრულება გაფორმდა ქ. ახალქალაქში შენობების აშენებისთვის და მოედნის მოწყობისთვის საჭირო პროექტის შესყიდვაზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2025 წლის ოქტომბრის თვეში მომსახურების სააგენტომ სახელმწიფოს სასარგებლოდ განაცხადა თანხმობა ქ. გონიოში არსებულ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის უფლების გაუქმებაზე, შესაბამისად ზემოაღნიშნული პროექტი შეჩერებულია და მიმდინარეობს აჭარის რეგიონში სხვა/ალტერნატიული მიწის მოძიება რათა გაგრძელდეს და განხორციელდეს აღნიშნული პროექტი.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიანი ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერა განახლებულია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) არის რეაბილიტირებული; რეგიონებში სააგენტოს სარეგისტრაციო დარბაზებში და სასტუმრო ოთახებში განთავსებულია მოძველებული ავეჯი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია. რეგიონებში სრულად შეცვლილია/განახლებულია ავეჯი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელდება საშუალოვადიან პერიოდში.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – დღეის მდგომარეობით საგამოცდო ავტოპარკი განახლებულია, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ავტომანქანებს მართავენ მართვის უფლების არმქონე მოქალაქეები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები განიცდიან არანორმირებულ ცვეთას, მიზანშეწონილია ავტოპარკის 100%-ით განახლება ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული საგამოცდო ავტოპარკი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია 60 ერთეული მსუბუქი და 3 ერთეული სატვირთო ავტომანქანა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.